ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№79

(გაერთიანებული, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან)

ქ. თბილისი; 16 თებერვალი, 2021 წ. 12 : 00 სთ.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

**ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)**
**გიორგი ჩაკვეტაძე**
**ავთანდილ ცინცაძე**
**ნინო რუხაძე**
**ალექსანდრე ხუჯაძე**

**მოწვეული პირები:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - **ირაკლი თავართქილაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი- **მარიამ კვერნაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი - **მარიამ ჩივაძე**

სხდომის თავმჯდომარე:

**ლევან ჟორჟოლიანი**
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

## დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

3. “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ: 01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N--532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. “ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.073.01.561) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. “ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.144.01.515) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. “ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში (საკადასტრო კოდი: N72.12.01.765.04.500 და N72.12.01.765.05.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმითნპრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:**

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოც. მომსახურების საქალაქო სამსახურის იურისტმა - **მარიამ ჩივაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის **N72-136** დადგენილების პირველი მუხლის **„ე“** ქვეპუნქტით დამტკიცებულ **„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში“,** რომლის მიხედვით, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ მედიკამენტებს კომბინაციასთან - პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ერთად, ემატება ახლი მედიკამენტი - **„ფესგო“.**

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განავრცო, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მედიკამენტი **პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ერთად,** რომელსაც აქვს მხოლოდ ინტრავენური ფორმით მიღების შესაძლებლობა, წარმოდგენილი პროექტით კი ემატება მედიკამენტი **„ფესგო“,** რომელიც თავისი შემადგენლობით იგივეა, რაც პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ერთად, იმ განსხვავებით, რომ **აღნიშნული მედიკამენტის მიღების ფორმა კანქვეშ შეყვანაა.** ამ ცვლილებით, ბენეფიციარს საშუალება ეძლევა თავად აირჩიოს რომელი ფორმით მიიღებს მედიკამენტს. წარმოდგენილი ცვლილებით განისაზღვრება აგრეთვე დაფინანსების წესი და მოცულობა.

დასასრულს, **მარიამ ჩივაძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების შესაბამისად, ახალი რედაქციით ყალიბდება ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

**აზრი გამოთქვეს:**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით,** მიზანშეწონილია, წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მიეთითოს **„გ“ „დ“ და „ე“** ქვეპუნქტები და აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, მიზანშეწონილია, გასწორდეს აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტი და მასში ნაცვლად „ბ“ ქვეპუნქტისა, მიეთითოს „გ“ ქვეპუნქტი, აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**კომისიის თავმჯდომარემ** ასევე, მიუთითა, რომ მიზანშეწონილია, ქ.თბილისის საკრებულოს 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ შესაბამის დადგენილებაში ქვეპროგრამის - „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 01 07)“ აღწერილობის ნაწილში, შემდგომში, ასევე მითითებულ იქნას დადგენილების პროექტით წარმოდგენილი ახალი მედიკამენტი - **„ფესგო“.**

**დადგენილების პროექტის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.**

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **„ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, ძოწის ქუჩა N2-4-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.01.008.045) ყოფილი საბინაო-სამშენებლი კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „ჰორვატსისათვის“ (ს/კ: 405349154) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლმა** განმარტა რომ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის **N419** განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შესაბამისად, **ხორციელდება,** მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 28 273 კვ.მ ფართობის უძრავი ქონების, ინტერესთა გამოხატვის მოწვევაში გამარჯვებული **შპს „ჰორვატს“–ისათვის და** ყოფილი ე.წ ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის **(159 (ასორმოცდაცხრამეტი) პირი)**, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებული ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებაზე და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

**ირაკლი თავართქილაძემ** განავრცო წარმოდგენილი საკითხი და აღნიშნა, რომ 2019 წლის 2 სექტემბრიდან 2019 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში, გაიმარჯვა ზემოაღნიშნულმა კომპანიამ, რომელმაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე უნდა განახორციელოს საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა. მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ჯამური ოდენობა შეადგენს 18 000 კვ. მ-ს, საიდანაც 1088,99 კვ.მ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სააგენტოს ან/და სააგენტოს მიერ განსაზღვრულ სხვა პირ(ებ)ს, ხოლო ჯამურად 16 911,01 კვ.მ - ქ,თბილისის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლისN21.93.107 განკარგულების **დანართი N1–ით განსაზღვრულია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირებს** (ჯამურად 159 (ასორმოცდაცხრამეტი) პირს).

**ბატონმა ირაკლიმ** იქვე დასძინა, რომ ქ.თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების **დანართი N1–ით განსაზღვრულია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა/უფლებამონაცვლეთა ნუსხა,** რომელთაც გადაეცემათ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების პროცესში იხელმძღვანელა ორი

კრიტერიუმით, **სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განსაზღვრული ყველაზე დაბალი სარეიტინგო ქულით ან/და ტერიტორიულობის პრინციპით).** ხოლო, განკარგულების **დანართი N2–ის სახით წარმოდგენილია უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირთა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.**

**სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე დამწრე წევრებს გააცნო თბილისის მთავრობის ზემოაღნიშული განკარგულების დანართი N2–ის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები, კერძოდ:

- ✓ კომპანიამ „ჰორვარტს" საპრივატიზებო საფასურის – 1 (ერთი) ლარი გადახდა უნდა უზრუნველყოფს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში; 28 273 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე განსახორციელებელ მშენებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი არქიტექტურული პროექტი შეათანხმოს, მშენებლობის ნებართვა მოიპოვოს, უზრუნველყოს შესაბამისი ინდივიდუალური ფართების განსაზღვრულ პირთა სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია კონკრეტულ ვადებსა და დადგენილი წესით;

- ✓ განკარგულების დანართი N1–ით განსაზღვრული ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრები/უფლებამონაცვლეები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან შესაბამისი წილის მიღების სანაცვლოდ უარს აცხადებებენ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე;

- ✓ მთავრობის განკარგულების **დანართით განსზღვრული ზოგიერთი პირი უარს აცხადებს** მათთვის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76 და საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებით, ასევე, შესაბამისი ხელშეკრულებით გადაცემულ მიწის ნაკვეთებზე, აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით, არ აქვთ და არც მომავალში არ წარმოეშობათ რაიმე სახის პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე;

- ✓ მთავრობის განკარგულების **დანართით განსზღვრული ზოგიერთი პირი** აცხადებს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, საქართველოს უზენაესის სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება მათ მიმართ ჩაითვლება აღსრულებულად და აღნიშნული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე არ აქვთ/არ წარმოეშობათ არანაირი პრეტენზია ან/და მოთხოვნის უფლება საქართველოს სახელმწიფოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (სააგენტოს) ან/და მათი ნებისმიერი ორგანოს წინაშე.

- ✓ კომპანია ვალდებულია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებლობა განახორციელოს 5 ლოტად.

- ✓ ხელშეკრულების პროექტი განმარტავს, ხელშეკრულების მიზნებისათვის „თეთრი კარკასის მდგომაროებას", ხოლო, მშენებლობა დასრულებულად მიიჩნევა, როდესაც შენობა – ნაგებობა მიაღწევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „თეთრი კარკასის მდგომაროებას";

- ✓ **უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის ოდენობა განსაზღვრულია 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობით.**

**აზრი გამოთქვეს:**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით,** მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მითითებულ იქნას ასევე, ქ.თბილისის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის N21.93.107 განკარგულება და პროექტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ასევე, მიზანშეწონილია, გაკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, სწორი რედაქციით მიეთითოს ქ.თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულების სათაური, ამასთან, აღნიშნული პუნქტი გაიმართოს სტილისტური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**თავმჯდომარემ** ასევე განმარტა, რომ მიზანშეწონილია, შეიცვალოს პროექტის მე–2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

ასევე, ქალაქ თბილისის მთავრობის **განკარგულების დანართ N1ში და N2–ში უნდა შეიცვალოს 121–ე და 122–ე ნომრებად მითითებულ პირთა პირადი ნომრები და ჩამოყალიბდეს შესაბამისად.**

**აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.**

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**3.** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა - **ირაკლი თავართქილაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ბექარ ურუშაძეს (პ/ნ: 01010014276) შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0--532-9-25327 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**ირაკლი თავართქილაძის** თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 7 აგვისტოს აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმისა და სააგენტოსა და მოქალაქე ბექარ ურუშაძეს შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნულ პირს საკუთრებაში გადაეცა ქ.თბილისში, ჯიქიას ქუჩა N9-ის მიმდებარედ არსებული **1,082 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 01.14.05.005.121). შეძენილი უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა **627,912 ლარი.** ამასთან, უძრავი ქონება გასხვისდა ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, რომელიც ასევე აისახა ხელშეკულების **„ბ"** პუნქტში შემდეგი ჩანაწერით: **„ხე-ნარგავების შენარჩუნება".**

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, 2020 წლის 29 დეკემბერს მყიდველმა შესაბამისი დოკუმენტაციით მოითხოვა შეზღუდვის ცვლილება და მისი შემდეგი რედაქციით განსაზღვრა - **"ხე ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე ნარგავების იმავე საკადასტრო კოდზე გადარგვის უფლებით". მყიდველმა** ასევე, წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დადებითი პოზიცია, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხე-ნარგავების გადარგვა შესაძლებელია, ასევე სამსახურმა განმარტა, რომ უძრავ ქონებაზე არსებული 17(ჩვიდმეტი) ძირი მცენარის იმავე ტერიტორიაზე გადარგვის შესახებ ნებართვა გაიცემა სამსახურის მიერ, განმცხადებლის მიერ სამშენებლო ნებართვის წარდგენის შემდგომ.

**სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა** იქვე დასძინა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა გამოხატა დადებითი პოზიცია მოცემულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ, ტერიტორიაზე არსებული მცენარეების (მათ შორის გადასარგავი) შენარჩუნების პირობით. ამასთან ცნობილია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 8 თებერვლის ბრძანების მიხედვით **1,082 კვ.მ** ფართობის მიწის ნაკვეთზე დამტკიცებულია სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

**ბატონმა ირაკლიმ** განავრცო წარმოდგენილი საკითხი და აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ხე-ნარგავების გადარგვის უფლების მინიჭება **არ ცვლის აუქციონზე დაფიქსირებულ საბაზრო ღირებულებას (627,912 ლარი).**

დასასრულს, **ირაკლი თავართქილაძემ** შეჯამების სახით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტით ხდება, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და მოქალაქე ბექარ ურუშაძეს შორის 2020 წლის 18 აგვისტოს გაფორმებულ პირობებით გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულების „ბ" პუნქტის ცვლილება და ხელშეკრულების ჩანაწერი - **„ხე ნარგავების შენარჩუნება", იცვლება შემდეგი რედაქციით: „ხე-ნარგავების შენარჩუნების პირობით, ხე-ნარგავების იმავე საკადასტრო ერთეულზე გადარგვის უფლებით"**

**აზრი გამოთქვეს:**

**იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ** მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვა შერსაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**4. ირაკლი თავართქილაძემ,** გაერთიანებულ სხდომაზე დამსწრე წევრებს ასევე წარუდგინა, დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, რიგი განკარგულებათა პროექტები, ქ. თბილისის რამდენიმე რაიონში უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის **„ქალაქ თბილისში, რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

**მომხსენებლის** განმარტებით, დიდუბის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, **რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის ტერიტორიაზე** მდებარე უძრავი ქონება **(ჯამში 1508.54 კვ.მ)**, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემათ, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 3 თებერვლის **N21.83.101** განკარგულებით განსაზღვრულ არადევნილის სტატუსის მქონე, სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს (ჯამში 41 პირი), რომლებიც **2012** წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე რაც დასტურდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „თევდორე მღვდლის 13“-ის შესაბამისი კრების ოქმებით.

**საკითხის წარმომდგენმა** იქვე მიუთითა, რომ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის IV განყოფილების წერილების მიხედვით, დაინტერესებული პირები ნამდვილად ცხოვრობენ ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა #13-ში.

**ირაკლი თავართქილაძემ** ასევე განავრცო რომ ქ. თბილისის მთავრობის ზემოაღნიშნული განკარგულებით განსაზღვრული ზოგიერთი პირი ფიქსირდება დევნილთა მონაცემთა ბაზაში, აღნიშნულ პირთათვის მათ დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების თანასაკუთრებაში გადაცემის შემთხვევაში, დევნილთა მონაცემთა ბაზაში გაკეთდება აღნიშვნა დაკმაყოფილების თაობაზე.

**დასასრულს,** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

**აზრი გამოთქვეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**თავმჯდომარის** თქმით, ასევე, სასურველია გასწორდეს და შეიცვალოს განკარგულების პროექტის მე-2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**5. ირაკლი თავართქილაძემ,** დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-5** საკითხთან მიმართებაში განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ.თბილისში, ქერჩის ქუჩა N6ბ-ში მდებარე 48.84 კვ.მ ფართი და 50.72 კვ.მ ანტრესოლი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა არადევნილის სტატუსის მქონე, სოციალურად დაუცველ პირს - მოქალაქე **კახა კოპალიანს,** რომელიც დაახლოებით 17 წელია ფლობს და სარგებლობს აღნიშნულ უძრავ ქონებას.

**საკითხის წარმომდგენის** თქმით, მოქალაქე კახა კოპალიანის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-10 განყოფილების წერილის თანახმად, აღნიშნული პირი მეუღლესთან ერთად 2004 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

**დასასრულს,** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, კახა კოპალიანის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**აზრი გამოთქვეს:**

**ლევან ჟორჟოლიანმა** განმარტა, რომ სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

**თავმჯდომარის** თქმით, მიზანშეწონილია, პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“,,** ასევე გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების თარიღის ნაწილში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

**6. ირაკლი თავართქილაძემ,** კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-6** საკითხზე და აღნიშნა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების ქუჩა № 16-ში მდებარე **60.88 კვ. მ.** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით, **სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ეკატერინე შარიას, რომელიც 2009 წლიდან უწყვეტად ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის X განყოფილების შესაბამისი წერილითა და ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „მერცხალის“ 2020 წლის 20 ივლისის კრების ოქმით.

**აზრი გამოთქვეს:**

**ლევან ჟორჟოლიანის თქმით,** სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

**თავმჯდომარის** განმარტებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 10 თებერვლის დეკემბრის №21.132.147 განკარგულების სათაური, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“**, გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები, შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

**მოისმინეს:**

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-7** საკითხთან მიმართებაში, **ირაკლი თავართქილაძემ** განმარტა, რომ გლდანის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, ავჭალის შესახვევი N3-ში, პირველ სართულზე მდებარე 20.83 კვ.მ და 2.55 კვ.მ ფართობის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **პრივატიზებით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე შორენა შუბითიძეს, რომელიც 2012 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე, რაც დასტურდება, ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-4 განყოფილების შესაბამისი წერილითა და მოქალაქე შორენა შუბითიძის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

**დასასრულს,** სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, შორენა შუბითიძის სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

**აზრი გამოთქვეს:**

**ლევან ჟორჟოლიანის თქმით,** სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით.

**თავმჯდომარის** განმარტებით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, ასევე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით. ამასთან, განკარგულების პროექტის მე-2 მუხლის შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით.

**გადაწყვიტეს:**

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების

გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე** **ლევან ჟორჟოლიანი**

**სხდომის მდივანი** **ნინო ჯალაღანია**